სს „სილქნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ,,კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიაში შემოვიდა შპს ,,სისტემ ნეტ“-ის საჩივარი (Nშ-6/6740-16; 12.07.2016), რომლის თანახმად, მიმდინარე წლის 4 ივლისს, 00:00 საათზე სს ,,სილქნეტმა“ შეაჩერა შპს ,,სისტემ ნეტ“-თან არსებული ურთიერთჩართვა, ვინაიდან, შპს ,,სისტემ ნეტ“-ს გადასახდელი ჰქონდა ავანსი, კერძოდ, მომსახურების გათიშვის მომენტისთვის არსებული დავალიანება შეადგენდა 509 ლარს. შპს ,,სისტემ ნეტ“-ის განცხადებით, ურთიერთჩართვის მომსახურება აღდგა მიმდინარე წლის 5 ივლისს, მის მიერ ავანსის გადახდის შემდეგ.

შპს ,,სისტემ ნეტ“-ი თავის საჩივარში უთითებს, რომ სს ,,სილქნეტს“ არ მიუმართავს კომისიისთვის ურთიერთჩართვის შეჩერების მოთხოვნით და არც კომისიას გაუცია შესაბამისი თანხმობა. აქედან გამომდინარე, შპს ,,სისტემ ნეტ“-ს მიაჩნია, რომ სს ,,სილქნეტმა“ დაარღვია კანონისმიერი ვალდებულება შეეჩერებინა მოქმედი ურთიერთჩართვა შპს ,,სისტემ ნეტ“-თან მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით, რაც წარმოადგენს სს ,,სილქნეტისთვის“ ადინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს ,,სისტემ ნეტ“-ის საჩივრის საფუძველზე კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება სს ,,სილქნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და საკითხის განხილვის დღედ განისაზღვრა 2016 წლის 4 აგვისტო. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის დღის, დროისა და ადგილის შესახებ შეტყობინებებით (N03/2765-16; 25.07.2016; Nშ-03/2766-16; 25.07.2016) ეცნობათ სს ,,სილქნეტსა“ და შპს ,,სისტემ ნეტ“-ს.

სს ,,სილქნეტმა“ 2016 წლის 2 აგვისტოს კომისიაში წარმოადგინა (წერილი Nშ-6/7845-16; 02.08.2016) 2016 წლის 3 ივლისიდან 5 ივლისის ჩათვლით პერიოდში შპს ,,სისტემ ნეტ“-იდან სს ,,სილქნეტის“ მიმართულებით განხორციელებული სატელეფონო ზარების ამსახველი ჩანაწერები CD-დისკის სახით.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე გამოცხადდნენ სს ,,სილქნეტისა“ და შპს ,,სისტემ ნეტ“-ის წარმომადგენლები. შპს ,,სისტემ ნეტ“-ის წარმომადგენელმა კომისიის სხდომაზე დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები და მოთხოვნები. მან ასევე აღნიშნა, რომ კომისიის მიერ საერთაშორისო ზარების ტერმინაციაზე რეგულაციის დადგენის შემდეგ, მხარეებმა გამოაქვეყნეს ახალი ოფერტები, რომელთა შესაბამისადაც, მნიშველოვანი საბაზრო ძალაუფლების არმქონე ოპერატორებს დაეკისრათ სადეპოზიტო და საავანსო გადახდების შესრულება საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისთვის. აქედან გამომდინარე, მისი განმარტებით, შპს ,,სისტემ ნეტ“-ს ოფერტის შესაბამისად, აქვს სადეპოზიტო და საავანსო გადახდები განხორციელებული, რის საფუძველზეც იღებდა მომსახურებას.

სს ,,სილქნეტის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ დაადასტურებდა 509,54 ლარის გადაუხდელობის გამო მხარისთვის საერთაშორისო ზარების ტერმინაციის მომსახურების შეწყვეტის ფაქტს. მისი განცხადებით, სს ,,სილქნეტს“ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა კარგად გარკვეულიყო საქმის ვითარებაში და წარმოედგინა დამატებითი ახსნა-განმარტება. სს ,,სილქნეტის“ შუამდგომლობის საფუძველზე კომისიამ საკითხის განხილვა დანიშნა მიმდინარე წლის 18 აგვისტოს.

2016 წლის 15 აგვისტოს კომისიაში შემოვიდა შპს ,,სისტემ ნეტ“-ის განცხადება (Nშ-6/8444-16; 15.08.2016) თანდართული 2016 წლის 4-5 ივლისის საბილინგო მონაცემებით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბილინგო მონაცემებით დასტურდება, რომ სს ,,სილქნეტის“ მიერ 2016 წლის 4 ივლისს 00.06 წუთზე ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ზარების ტერმინაციის (ურთიერთჩართვის) მომსახურების ხელოვნურ გათიშვას, კერძოდ:

1. შპს ,,სისტემ ნეტ“-ს საერთაშორისო არხიდან მიღებული აქვს საერთაშორისო ზარი 2016 წლის 4 ივლისს, 00.06 წუთიდან 2016 წლის 5 ივლისის 13.06 წუთამდე.
2. კოდი, რომელიც დაფიქსირებულია ზარის დაუსრულებლობისთვის, არ წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის დამადასტურებელს.
3. ტექნიკური ხარვეზის არ არსებობაზე მოწმობს ასევე ის გარემოება, რომ სასიგნალო კოდი ადგილობრივი და საერთაშორისო არხისთვის ერთია, ადგილობრივი ზარები სრულდებოდა ამ პერიოდში, საერთაშორისო კი არა.

კომისიის 2016 წლის 18 აგვისტოს სხდომას ესწრებოდნენ სს ,,სილქნეტისა“ და შპს ,,სისტემ ნეტ“-ის წარმომადგელები. სს ,,სილქნეტის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან კომპანიას არ აქვს ლოგირების სისტემა, 1 თვის წინა პერიოდზე ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის მოძიების და მიზეზების გარკვევის საშუალება არ არის. მან ასევე აღნიშნა, რომ 2015 წლის 17 აგვისტოს შპს ,,სისტემ ნეტ“-მა პირველად გადაურიცხა სს ,,სილქნეტს“ ავანსის თანხა მოწვევის ოფერტის თანახმად. ამასთან, სს „სილქნეტის“ მოწვევის ოფერტასთან დაკავშირებით შპს ,,სისტემ ნეტ“-ს შენიშვნა არ დაუფიქსირებია და თავისი ქმედებებით (საავანსო თანხის გადახდა და.შ.) ზეპირი გარიგების საფუძველზე მიიღო მოწვევის ოფერტის 5.4. პუნქტის პირობა. სს ,,სილქნეტის“ წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პუნქტი აძლევს სს „სილქნეტს“ უფლებას საავანსო თანხის ამოწურვის შემდეგ ჯერ 3 თვით შეაჩეროს საერთაშორისო ზარების ტერმინაციის მომსახურება, ხოლო 3 თვის განმავლობაში თუ არ შეივსო ავანსი, შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება.

კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ც. უჯმაჯურიძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის 4 ივლისს მომხდარი ფაქტის მიზეზის დადგენა სს ,,სილქნეტში“ დაცული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია, თუ სს ,,სილქნეტს“ არ აქვს ლოგირების სისტემა. მისი განცხადებით, საერთაშორისო შემომავალი ტრაფიკი შპს „სისტემ ნეტ“-ის საკომუნიკაციო სადგურის გავლით არ დასრულდა სს ,,სილქნეტის“ ქსელში. მან ასევე აღნიშნა, რომ შპს ,,სისტემ ნეტ“-ის განცხადებაზე (Nშ-6/8444-16; 15.08.2016) თანდართული საბილინგო მონაცემების მიხედვით, შპს „სისტემ ნეტ“-მა მიიღო სს „სილქნეტისგან“ შეტყობინება 1-იანი კოდით, რომ მარშრუტის ცხრილებში სს ,,სილქნეტის“ საკომუნიკაციო სადგურში B ნომრების შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა. მისი განმარტებით, ეს შეტყობინება იშიფრება შემდეგნაირად – სატელეფონო ზარი ან არ შესრულდა, ან მარშრუტის კოდში ასეთი ნომრები არ არსებობს. ც. უჯმაჯურიძის განცხადებით, ამ მონაცემებით დგინდება, რომ შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის მომსახურების შეწყვეტის მიზეზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ტექნიკური ხარვეზი.

II. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება:

1. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას;
2. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
3. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას;
4. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციებისსფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;
5. ,,ელექტრონულიკომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა. ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით;
6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება დაუყოვნებლივ წყდება.

კომისია აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების მასალების საფუძველზე ვერ დასტურდება 2016 წლის 4 ივლისს შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის საერთაშორისო ზარის ტერმინაციის მომსახურების ტექნიკური მიზეზით შეწყვეტის ფაქტი. შპს ,,სისტემ ნეტ“-ს მიაჩნია, რომ მისთვის საერთაშორისო ზარის ტერმინაციის მომსახურების შეწყვეტა მოხდა სწორედ ავანსის ამოწურვისა და დარიცხული დავალიანების გადაუხდელობის გამო, რაც, მისი აზრით, მოითხოვდა კომისიის თანხმობას. კომისიას მიაჩნია, რომ საერთაშორისო ზარის ტერმინაციის მომსახურების ზემოთ მითითებული საფუძვლით შეწყვეტის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი სს ,,სილქნეტს“ ჰქონდა უფლება შეეწყვიტა საერთაშორისო ზარის ტერმინაციის მომსახურების მიწოდება შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის შემდეგი გარემოებების გამო:

1. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ შპს ,,სისტემ ნეტ“-ს საერთაშორისო ზარის ტერმინაციის მომსახურება სს ,,სილქნეტის“ მიერ მიეწოდება 2014 წლის 29 ოქტომბრის მოწვევის ოფერტის საფუძველზე. შპს ,,სისტემ ნეტ“-ი ადასტურებს, რომ ახორციელებდა სადეპოზიტო და საავანსო გადახდებს სს ,,სილქნეტის“ მოწვევის ოფერტის შესაბამისად. აღნიშნულით შპს ,,სისტემ ნეტ“-ი ასრულებდა მოწვევის ოფერტის პირობებს და შესაბამისად, განახორციელა ამ მოწვევის ოფერტის აქცეპტი.
2. შპს ,,სისტემ ნეტ“-ს საერთაშორისო და ადგილობრივი ზარებისთვის ცალ–ცალკე არხები აქვს გამოყოფილი და 2016 წლის 4-5 ივლისის პერიოდის ბილინგში ასახული ადგილობრივი სატელეფონო ზარები განხორციელდა სწორედ ადგილობრივი ზარებისთვის გამოყოფილი არხით.
3. შპს ,,სისტემ ნეტ“-ს საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების მიწოდება აღუდგა 2016 წლის 5 ივლისს.
4. 2016 წლის პირველ ივლისს შეიცვალა სს ,,სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადების (2014 წლის 29 ოქტომბრის მოწვევის ოფერტა) მოქმედების ვადა და გაგრძელდა 2018 წლის პირველ ივლისამდე (სს ,,სილქნეტის“ წერილი Nშ-6/5942-16; 22.06.2016). 2016 წლის 29 ივლისს კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სს ,,სილქნეტის“ ახალი მოწვევის ოფერტა, რომელიც ჩაენაცვლა ზემოაღნიშნულ ოფერტას და ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი აგვისტოდან. შესაბამისად, სს ,,სილქნეტის“ მიერ შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის საერთაშორისო სატელეფონო ზარების ტერმინაციის მომსახურების შეწყვეტის უფლების საკითხის შეფასება უნდა მოხდეს სს ,,სილქნეტის“ 2014 წლის 29 ოქტომბრის მოწვევის ოფერტის მიხედვით. აღნიშნული მოწვევის ოფერტის 5.2 პუნქტის თანახმად, აქცეპტანტის მიერ საავანსო თანხის წარმოდგენა სავალდებულოა მის მიერ ოფერენტის ქსელში საერთაშორისო ზარების გატარება/დასრულებისთვის განკუთვნილი არხების არსებობის შემთხვევაში. მოწვევის ოფერტის 5.3 პუნქტის შესაბამისად, წინასწარი გადახდის სისტემის თანახმად: ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად აქცეპტანტი ვალდებულია ოფერენტთან არსებულ მის ანგარიშზე წინასწარ უზრუნველყოს პირველადი საავანსო თანხის განთავსება, რომელიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 700 (შვიდასი) აშშ დოლარს და ავანსის სრულად გახარჯვის შემთხვევაში მისი შევსება უნდა მოახდინოს არანაკლებ 700 (შვიდასი) აშშ დოლარამდე. მოწვევის ოფერტის 5.4 პუნქტის თანახმად, ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებას ოფერენტი გაწევს საავანსო თანხის ამოწურვამდე; საავანსო თანხის ამოწურვის (ასევე მისი გადახარჯვის) შემთხვევაში ოფერენტი შეაჩერებს მომსახურებას და აქცეპტანტის მხრიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში საავანსო თანხის შეუვსებლობის შემთხვევაში, შეწყვეტს ხელშეკრულებას; ამასთან, ოფერენტი არ იღებს ვალდებულებას ავანსის ამოწურვისთანავე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ურთიერთჩართვის მომსახურება. შესაბამისად, აქცეპტანტი ვალდებულია, სრულად და უპირობოდ გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულებაც, რომელსაც იგი ფაქტობრივად მიიღებს საავანსო თანხის ამოწურვის შემდეგ. აქედან გამომდინარე, მოწვევის ოფერტის პირობების შესაბამისად, სს ,,სილქნეტი“ უფლებამოსილია შეუჩეროს შპს ,,სისტემ ნეტ“-ს საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურება საავანსო თანხის ამოწურვის, ასევე მისი გახარჯვის შემთხვევაში. აქვე კომისია აღნიშნავს, რომ სს ,,სილქნეტის“ წინამდებარე მოწვევის ოფერტა შეთანხმებული იყო კომისიასთან სწორედ ამ პირობებით და გამოქვეყნებული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნული მოწვევის ოფერტის პირობების გაზიარება 5.4 პუნქტის ნაწილში განპირობებულია კომისიის მიერ საქართველოში საერთაშორისო სატელეფონო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციების დაწესებით (კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის N571/9 გადაწყვეტილება ,,საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ“) და ემსახურება ერთი მხრივ, საერთაშორისო ზარების ტერმინაციის მომსახურებით მოსარგებლე ავტორიზებულ პირებთან მიმართებაში დიდი ოდენობის უარყოფითი ბალანსის წარმოშობის თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების ინტერესების დაცვას, რათა მათ არ შეექმნათ პრობლემები გაწეული მომსახურების ღირებულების ამოღებისას. შესაბამისად, სს ,,სილქნეტის“ მიერ შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის საერთაშორისო სატელეფონო ზარების დასრულების მომსახურების შეწყვეტა არ უნდა იქნეს მიჩნეული ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით ურთიერთჩართვის შეწყვეტად.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ 2015 წლის 28 აპრილს, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ,,შპს ,,ჯეოსელისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ (223/18; 28.04.2015), რომლითაც მიიჩნია, რომ შპს ,,ჯეოსელს“ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ჰქონდა შეჩერებული ურთიერთჩართვა ავტორიზებული პირისთვის. კერძოდ, წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი: შპს ,,ჯეოსელის“ ოფერტის პირობების შესაბამისად, ურთიერთჩართვის ხელშეკრულება მოქმედებს განსაზღვრული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგომამდე. ეს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი შპს „ჯეოსელის“ მოწვევის ოფერტის პირობების შესაბამისად, გახლავთ ავანსის გაქვითვა. ამიტომ, კომისია აღნიშნავს, რომ როდესაც შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-ის მიერ შპს „ჯეოსელისთვის“ ჩარიცხული საავანსო თანხა ამოიწურა (იხ. შპს „ჯეოსელის“ მოწვევის ოფერტის 15.1.1 პუნქტი), შპს „ჯეოსელის“ 2014 წლის მოწვევის ოფერტის შესაბამისად, ავტომატურად ამოიწურა ხელშეკრულების მოქმედების ვადაც; კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან შპს „ჯეოსელმა“ ურთიერთჩართვა არ შეაჩერა ხელშეკრულების ვადის

ამოწურვისთანავე, კომპანიამ განაგრძო ფაქტობრივი ურთიერთჩართვა შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-სთან, ხოლო, ვინაიდან შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-ს საავანსო თანხა შპს „ჯეოსელისათვის“ არ ჩაურიცხავს, შპს „ჯეოსელს“ მიეცა უფლება და შესაძლებლობა შეეჩერებინა მოქმედი ურთიერთჩართვა, სახელშეკრულებო პირობების უზრუნველსაყოფად; კომისიას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის არსებობდა ფაქტობრივი ურთიერთჩართვა და შპს „ჯეოსელმა“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის დარღვევით შეაჩერა მოქმედი ურთიერთჩართვა, რითაც დაარღვია კანონისმიერი ვალდებულება, კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისად, ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაცია ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შპს „ჯეოსელის“ მოწვევის ოფერტის 15.4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

შპს ,,ჯეოსელმა“, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-ის მიერ შპს „ჯეოსელისთვის“ ჩარიცხული საავანსო თანხა ამოიწურა და შესაბამისად, ამოიწურა ხელშეკრულების მოქმედების ვადაც, არ შეაჩერა ურთიერთჩართვა ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე და განაგრძო ფაქტობრივი ურთიერთჩართვა შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-სთან, რის შემდეგ შპს ,,ჯეოსელმა“ მას შეუჩერა ურთიერთჩართვა საავანსო თანხის გადაუხდელობის საფუძვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „ჯეოსელს“, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო იგი უფლებამოსილი იყო ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეეჩერებინა მოქმედი ურთიერთჩართვა, არ მიუმართავს კომისიისათვის მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებისათვის თანხმობის მისაღებად, რის გამოც სახეზე იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კანონისმიერი ვალდებულების დარღვევა. ამდენად, კომისიამ წინამდებარე გადაწვეტილებით დაადასტურა, რომ შპს ,,ჯეოსელს“ თავისი მოწვევის ოფერტის პირობების შესაბამისად ჰქონდა სრული უფლება მისთვის ჩარიცხული საავანსო თანხის ამოწურვისთანავე შეეწყვიტა ურთიერთჩართვა შესაბამისი ავტორიზებული პირისთვის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატურად ამოწურვის გამო, რაც არ მოითხოვდა კომისიის თანხმობას. მაგრამ, ვინაიდან, შპს ,,ჯეოსელის“ მიერ შპს „ქართულ სატელეფონო კომპანია ჯტს“-სთვის ურთიერთჩართვის შეჩერების საფუძველი გახდა ავანსის თანხის გადაუხდელობა და არა ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა, აღნიშნული ურთიერთჩართვის შეჩერება უნდა მომხდარიყო მხოლოდ კომისიის თანხმობის საფუძველზე.

ამდენად, კომისიას მიაჩნია, რომ წინამდებარე საკითხთან მიმართებაში კომისიის მიდგომა უნდა იყოს თანმიმდევრული და ერთგვაროვანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ სს ,,სილქნეტს“ არ დაურღვევია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 პუნქტი და ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სს ,,სილქნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

III.სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 96-ე, 97-ე მუხლების, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი და მე–3 პუნქტების, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის, 43-ე, 45-ემუხლის პირველი პუნქტის, 46-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (მომხრე: კომისიის თავმჯდომარე: ვ. აბაშიძე; კომისიის წევრები: კ. ბექაური, გ. ფრუიძე; წინააღმდეგი კომისიის წევრი: ე. ასანიძე)

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სს ,,სილქნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის მხარეებისთვის ჩაბარების დღიდან;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., N6) შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის და სს ,,სილქნეტისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს ,,სისტემ ნეტ“-ისთვის და სს ,,სილქნეტისთვის“ გაგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილის სახით (ნ.ჯავახიძე);
5. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა);
6. წინამდებარე გადაწყვეტილების (გარდა მე-4 და მე-5 პუნქტებისა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (გ. კვერენჩხილაძე).

კომისიის წევრ ელისო ასანიძის განსხვავებული აზრი: ელისო ასანიძემ განაცხადა, რომ მხარს არ უჭერდა წინამდებარე გადაწყვეტილებას. მას მიაჩნია, რომ საერთაშორისო ზარების ტერმინაციის მომსახურებაზე კომისიის მიერ დადგენილი დროებითი რეგულაცია, ასევე კომპანიების მიერ კომისიაში წარმოდგენილი და გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტები, კომისიის მიერ დანერგილი პრაქტიკა და კენჭისყრაზე წარმოდგენილი კომისიის გადაწყვეტილების პროექტი არ შეესაბამება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონს. ე. ასანიძის განცხადებით, მისი არგუმენტაცია წარმოდგენილია კომისიის არაერთ გადაწყვეტილებაში წერილობითი და ზეპირი ფორმით.

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე